საერთაშორისო კომპანიის ციფრული დოკუმენტბრუნვა ქართულ პლატფორმაზე

ქეისი

გაციფრულებული კონტრაქტინგის პროცესი
Majorel საქართველოში

კომპანია

მეიჯერელ საქართველო ბიზნესპროცესების აუთსორსინგის სფეროს ერთ-ერთი ლიდერი და მსოფლიოს უმსხვილესი ბრენდების სანდო პარტნიორია. საქართველოში ოპერირება კომპანიამ 2016 წელს არვატო ბერტელსმანის სახელით, 150 ადამიანით და 1 გერმანულენოვანი პროექტით დაიწყო, დღეს კი, თითქმის 3000 თანამშრომელს, 3 ქალაქში განთავსებულ 5 ოფისსა და 9 საერთაშორისო ბიზნესკლიენტს აერთიანებს.

მეიჯერელის სახელი, როგორც მსოფლიოს, ისე ქვეყნის მასშტაბით, კლიენტთა მომსახურების ხარისხიან სერვისსა და მაღალ სტანდარტთან, ასევე, ნიჭიერ, წარმატებულ ადამიანებთან და ბრწყინვალე კარიერულ შესაძლებლობებთან ასოცირდება. გარდა ამისა, 2023 წლიდან, მეიჯერელმა მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სტატუსი მოიპოვა და უკვე ოფიციალურად გახდა “Great Place to Work”. კომპანიის ყოველწლიურმა გლობალურმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ თანამშრომელთა 80% რეკომენდაციას უწევს მეიჯერელს, როგორც საუკეთესო დამსაქმებელს. მეიჯერელ საქართველოს კლიენტები წარმოადგენენ ისეთ მრავალფეროვან ინდუსტრიებს, როგორებიცაა: მოგზაურობა, ელექტრონული კომერცია, ინფორმაციული და ციფრული ტექნოლოგიები, ავტოინდუსტრია.

გამოწვევა

მეიჯერელი 6 წლის განმავლობაში 150-დან თითქმის 3000 თანამშრომლამდე გაიზარდა, ალბათ, მარტივი წარმოსადგენია, რამდენ ხელშეკრულებასთან, ამობეჭდილ ფურცელთან და ხელმოსაწერ დოკუმენტთანაა დაკავშირებული ამ რაოდენობის ახალი თანამშრომლის მიღება. მეიჯერელ საქართველოში როგორც შიდა პროცესების წარმართვისათვის, ისე ვენდორებთან თუ პარტნიორ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმებისათვის უამრავი დოკუმენტი გროვდებოდა, გარკვეული ბიზნესების თანამშრომლები სრულად დისტანციურ სამუშაო რეჟიმში იყვნენ, კომპანია კი, 3 სხვადასხვა ქალაქიდან ოპერირებს, შესაბამისად, ხელმოწერის პროცესი ხშირად ძალიან ჭიანურდებოდა.

გადაწყვეტა

2022 წლის მაისიდან მეიჯერელი სიგნიფაის მომხმარებელი გახდა, ივნისიდან კი, კომპანია სრულად გადავიდა ხელმოწერის ახალ მეთოდზე. დღეს სიგნიფაის ადამიანური რესურსების, ფინანსების, ადმინისტრირებისა და ელექტრონული კომერციის ბიზნესის გუნდები წარმატებით იყენებენ. ადამიანური რესურსების გუნდში სიგნიფაი ნებისმიერი ტიპის დოკუმენტებისთვის გამოსადეგია, იქნება ეს ხელშეკრულებები, დანართები, დროისა და პოზიციის ცვლილებები თუ სხვა. სიგნიფაის საშუალებით მეიჯერელში უფრო სწრაფად და ეფექტურად ხდება ადმინისტრირების პროცესის წარმართვა, ყველა ტიპის დოკუმენტაცია ერთ სივრცეშია თავმოყრილი, რაც მის მართვას უფრო ამარტივებს, ხდება უამრავი ქაღალდის დაზოგვა და ეკომეგობრული ნაბიჯების გადადგმა. დღევანდელი მონაცემებით, მხოლოდ HR team-ში, სიგნიფაის საშუალებით 7000-მდე დოკუმენტია გაგზავნილი.

Majorel Update signature	11 Action required	20 In progress	15 Rejected	10 587 Completed

“სიგნიფაის დანერგვა არ იყო მარტივი პროცესი, რადგან მეიჯერელი რამდენიმე საერთაშორისო კომპანიას წარმოადგენს და თითოეულ ბიზნესთან სისტემის "whitelisting"-ი იყო საჭირო; აღნიშნულ კომუნიკაციას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, თუმცა, ვფიქრობ, ეს ეფექტურად დახარჯული დრო იყო, რადგან სიგნიფაიმ ადმინისტრირების პროცესი ახალ ეტაპზე გადაიყვანა, გააციფრულა დოკუმენტაცია და თანამედროვე მიდგომები შემოიტანა HR ადმინისტრირების პროცესში. დღეს კომპანიაში ვიცით, რომ დოკუმენტაცია არის დაცული, თავმოყრილია საერთო პლატფორმაზე და პროცესის ადმინისტრირებაც გაცილებით იოლია. აქვე აღვნიშნავ, რომ სიგნიფაის ჰყავს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური Support-ი, რომელიც ძალიან სწრაფად ერთვება ყველა პროცესში და მუდმივად ცდილობს, უკეთესი სერვისები შემოგვთავაზოს.”

ნინი ჭიღლაძე
HR Administration and Payroll Manager

შედეგი ბიზნესზე

1 წელი
დანერგვიდან

10 000+
ხელმოწერილი დოკუმენტი

5 x
ასწრაფებული ბიზნეს პროცესები

1 წელია, რაც Majorel საქართველო აქტიურად იყენებს Signify-ის საერთაშორისო ბიზნეს კლიენტებტან და თანამშრომლებთან ციფრული კონტრაქტინგის პროცესების მართვისთვის.
შედეგად დაიზოგა დრო, გაფორმა 10 000-მდე ხელშეკრულება და ასწრაფდა ბიზნეს პროცესები.

Signify

ციფრული კონტრაქტინგისა და ელექტრონული ხელმოწერების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს

signify.ge

© Signify 2023, ყველა უფლება დაცულია